განკარგულება:**გ-27. 27241795**
თარიღი:**27/06/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 34

27 ივნისი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 24 მაისს შემოვიდა შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტის“ წერილი ქ. თელავში, სააკაძის ქუჩაზე მდებარე 4 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.20.37.194) იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

შ.პ.ს „საქართველოს ფოსტა“ წლების განმავლობაში სარგებლობს იჯარით ქ. თელავის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ერთეული უძრავი ქონებით, მათ შორის ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთით, სადაც განთავსებულია ლოტოს ჯიხურები. შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტის“ მიერ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სტაბილურად ირიცხება საიჯარო ქირა.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამ ეტაპზე სხვა მიზნით განკარგვა არ არის დაგეგმილი, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 203836233) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით **2 (ორი)** წლის ვადით გადასცეს ქ. თელავში, სააკაძის ქუჩაზე მდებარე 4 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.20. 37.194).

2. საიჯარო ქირის წლიური საფასური დამოუკიდებელი აუდიტორის აუდიტორული დასკვნის N262, 6 ივნისი, 2024 საფუძველზე განისაზღვროს **3600** (სამი ათას ექვსასი) ლარით.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი